

ინფორმაცია



საატესტატო გამოცდების შედეგები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ანდრიაშვილმა, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მიაი მიმინოშვილმა და სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ გიორგი გულუამ და ევროპის საგანმანათლებლო ასოციაციის პრეზიდენტმა სტივენ ბაკერმა საინფორმაციო პორტალის - www.onlinenews.ge - მიერ ორგანიზებულ საგანგებო ბრიფინგზე შეაჯამეს.

მინისტრის განცხადებით: ჩატარებული გამოცდების შედეგები და მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, განვაცხადოთ - უპრეცედენტო საატესტატო გამოცდები შედგა! რვადღიანი საგამოცდო პროცესი, სამინისტროს მიერ გატარებული კომპლექსური ღონისძიებების საფუძველზე, წარმატებულად და ხარვეზების გარეშე წარიმართა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის შედეგებია, რომელიც მოსწავლეებმა აჩვენეს. მოსწავლეთა 30%-მა ცოდნის მაღალი დონე გამოავლინა და შესაბამისად, მაღალი შეფასება დაიმსახურა, მათგან ხუთმა პროცენტმა კი, საუკეთესო შედეგი აჩვენა.

მინისტრის ბრძანებით, 2011 წლისთვის საატესტატო გამოცდების გამსვლელი ბარიერი ყველა საგანში 5.5 ქულით განისაზღვრა. თუმცა, მხოლოდ წელს, იმ მოსწავლემ, რომელმაც რვა საგნიდან ნებისმიერ სამ საგანში მინიმუმ 5.2 ქულა მიიღო, დარჩენილ 5 საგანში კი - 5.5 და მეტი, 2011 წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდები წარმატებით ჩააბარა. არაქართულენოვან სკოლებში კი, ქართულ ენაში გამსვლელ ბარიერად 5,1 ქულა დადგინდა, სხვა საგნებზე საერთო წესი ვრცელდება.

2011 წლისთვის ბარიერთან დაკავშირებით შედეგები იმის გათვალისწინებით დადგინდა, რომ წელს საატესტატო გამოცდები პირველად ჩატარდა, მომავალ წელს სამ საგანში დაწესებული შედეგები აღარ იქნება, გამსვლელი ბარიერი კი, 5,5 ქულა იქნება, არაქართულენოვან სკოლებში ქართულ ენაში გამსვლელი ბარიერი - 5,3 ქულა.

საატესტატო გამოცდები ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდა. ასეთი მასშტაბური გამოცდა პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. გამოცდები საქართველოს 1520 სკოლის საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობდა, სადაც მონესრიგებული და მობილიზებული იყო ლოკალური ქსელები და საჭირო აპარატურა. 1520-ვე სკოლაში საგამოცდო პროცესი უახლესი სისტემებით აღჭურვილი სასერვერო ოთახიდან ვიდეოგამოსახულების საშუალებით კონტროლდებოდა.

გამოცდა 8 საგანში ჩატარდა: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ერთ-ერთი), მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. საატესტატო გამოცდები 23 მაისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო და 1 ივნისს მათემატიკის გამოცდით დასრულდა. საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები გამოცდებს მშობლიურ ენაზე აბარებდნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე საქართველოს სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას „ბავშვის უფლებაა მოუხმონონ“ დაესწრო.



კონფერენცია ევროსაბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“ მხარდაჭერით გაიმართა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

კონფერენციის მიზანი იყო: გაიზარდოს ბავშვთა ჩართულობა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებას და განათლებას ეხება; მოხდეს სახელმწიფო უწყებების მიერ ბავშვთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათი მოსაზრებების გათვალისწინება ბავშვთა პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და თბილისიდან. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, საჯარო სკოლების დირექტორები და სხვა სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები.

თბილისის მერმა გიგი უგულავამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრი გახსნეს. ცენტრი ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაშია განლაგებული და უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი.

პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრი დაინტერესებულ პირებს პროფესიული განათლების მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდის და მომავალ სტუდენტებს შესაბამის კოლეჯებში სასურველ პროგრამებზე და პროფესიებზე არეგისტრირებს. საინფორმაციო ცენტრში, ასევე, არის დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზა, სადაც პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ და დასაქმდნენ.

სამინისტროს ინიციატივით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა დასახმარებლად, ქვეყნის მასშტაბით, სამი ასეთი საინფორმაციო ცენტრი შეიქმნა: თბილისში, ქობულეთსა და ქუთაისში. ეს ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, საჭირო ინვენტარითა და მონაცემთა ბაზებით. ცენტრში მუშაობენ მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრები.

პროფესიული სწავლების საინფორმაციო ცენტრები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული სწავლების სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად შეიქმნა. საქართველოში პროფესიული სწავლების განვითარება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

პროფესიულ კოლეჯებში მიღებული განათლებით სტუდენტებს დასაქმების რეალური საშუალება ეძლევათ. პროფესიულ კოლეჯებში დაინტერესებული პირები მომსახურების, ტურიზმისა და სამშენებლო სფეროებში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს სწავლობენ.



სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი“
ახსნაღებს კონკურსს აქადემიური თანამდებობების დასაქვებლად შემდეგ დისციპლინებში:

ნამალთა ტექნოლოგია, ფარმაცევტული საქონლეობა, სოციალური ფარმაცია, ფარმაცევტული გინეკოლოგია, ფარმაცევტული ინფორმაცია, სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაცია, ფარმაცევტული მარკეტინგი, ადამიანის ნორმალური ანატომია, ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოლოგია, არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, პათოფიზიოლოგია, გიოქიმია

დეტალური ინფორმაცია იხ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე
www.interpharm.edu.ge

ტელ: 964946; 877 491771; 294140

მერაბ ბერძენიშვილის სტუდია „მუზა“
ბთავაზოვთ ახალ საზაფხულო საგანმანათლებლო პროექტს, რომელიც მოიცავს:

- ხ** ხელოვნების ისტორიის შესწავლას (შეგიძენათი ფილმების ჩვენება ხელოვნებაზე);
- ხ** ხატვას (ბრაფიკა, ფერწერა);
- ხ** უცხოურ ენათა დაუფლებასა და მწერლობის გაცნობას; (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული);
- ხ** მოზარდებისათვის ქართული მწერლობის გაცნობასა და ნაკითხის გააზრებას;
- ხ** საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას (ბავშვით ექსკურსიებს თბილისსა და მის გარშემო ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად);
- ხ** ტექნიკურ საგნებში მომზადებას სპეციალური პროგრამით.

სწავლების პროცესი წარიმართება სტუდია „მუზას“ აუდიტორიებში და ღია ცის ქვეშ, გაღვი.

მსურველებს შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ ერთი ან რამდენიმე დისციპლინა.

საკონტაქტო ტელეფონი: 871 23 53 53

უნიფრობათა შემნიშნავი

2 ივნისს, ლიტერატურულ კავშირში „ქარაბაზში“, 24-ე საჯარო სკოლის IX კლასის (დამრიგებელი – ლამარა ტაბატაძე) მოსწავლეებმა ლიტერატურული საღამო – „უნიფრობათა შემნიშნავი“ გამართეს. საღამოს ორგანიზატორი ანა ანა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ბარისაშვილი იყო. ლიტერატურული საღამომ მოსწავლეებმა გია მურღულიას რედაქციით გამოსცემული წიგნის „სიბრძნე მინიატურაში“ მიხედვით წარმოადგინეს.

თამარ ბარისაშვილი, 24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: ჩვენ მიერ წარმოდგენილი ლიტერატურული კომპოზიცია მხოლოდ მოკრძალებული მცდელობაა აღმოსავლური სიბრძნის შეცნობისა, იმ სამყაროსთან მიახლოებისა, ევროპულ ალორძინებაზე ადრე რომ იგემა რენესანსი. მართალია, აღმოსავლური ლიტერატურა, პოეზია ნუთისოფლის კანონებს ვერ ცვლის, მაგრამ ცხოვრებას მეტ შინაარსს სძენს, ადამიანის ჰუმანიტურ ბუნებას აღვიძებს და წარმოაჩენს, რითაც მარადიულ ინტერესს იწვევს. ძნელია, XXI საუკუნის გადასახედიდან X-XV საუკუნეების აღმოსავლური ფილოსოფიის გათავისება, თუმცა ჭეშმარიტი ლიტერატურისთვის მამოძრავებელი შემოქმედებითი საწყისია. სწორედ ამ მაძლით ჩვენმა მოზარდებმა რუდარქის, აბუ საიდის, ჯალალ ედ-დინ რუმის, ჰაფეზის, ომარ ხაიამის, დაყვიის პოეზია შეიყვარეს, რაც ყველაზე არსებითია, დაინყეს ფიქრი მარადიულ ღირებულებებზე, იგავური თქმებით თვალი გაუსწორეს რეალურ ყოფაცხოვრებას. IX კლასის მოსწავლეები შეეცადნენ ღვთაების არსებობის ახსნას, მიხედნენ საკუთარი თავის შეცნობა ყველაზე დიდი ნიჭია, მოკვდავი ადამიანის ის უნარია, „სიძნელეს გზისას“ რომ აადვილებს, დარწმუნდნენ, საკუთარ „მეს“ ხშირად უნდა ჩაეკითხო: „ვინ ვარ, რა ვარ“, და ვინც თავს შეიცნობს, გაცხადებულად ჰპოვებს უფალს. წიგნი „სიბრძნე მინიატურაში“ ჩვენი სამაგიდო წიგნია. კრებული, რომელშიც 138 ფილოსოფიური იგავია შეტანილი, მოზარდებისთვის ინტელექტუალური და ზნეობრივი წვრთნის ძალიან კარგი შესაძლებლობაა. ის, რაც დღეს მოსწავლეებმა წარმოადგინეს, მხოლოდ იმ მასალის მცირე ნაწილია, რომლის გადაკითხვაც, შესწავლაც და შეფასებაც გაკვეთილების პროცესში მოუწიათ. იგავებზე მუშაობისას ისინი ეზიარნენ ჭეშმარიტებას. ღონისძიებისთვის მხო-



ლოდ რამდენიმე იგავი და რობია შევარჩიეთ. ვფიქრობთ, ეს მცირედი აღმოსავლური სიბრძნეც კი საკმარისია, მსმენელისთვის ესთეტიკური ტკბობის მისანიჭებლად. მოსწავლეებმა მშვენივრად შეძლეს თავიანთი ნაგრძნობი მსმენელამდე მიეტანათ. დიდი მადლობა ბატონ გიას, რომელმაც მსოფლიო ხალხთა იგავები ერთ წიგნად გააერთიანა და ქართველ მკითხველამდე მოიტანა.

გია მურღულია, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი: ძალიან ბევრი იგავი, რომელიც დღეს მოვისმინეთ, არის ერთი წიგნიდან – „სიბრძნე მინიატურაში“. ეს წიგნი რამდენიმე წლის წინ გამოვიდა. როდესაც ამ წიგნისთვის იგავებს ვარჩევდი, რამდენიმე ათასი იგავი, მინიატურული სიბრძნე ნავიკითხე, საბოლოოდ 138 შევარჩიე. ძალზე სასიამოვნოა, როცა მოსწავლეები ასეთი სერიოზული თემებით ინტერესდებიან. ადამიანებს უყვართ, როდესაც ბევრი ფილოსოფოსობის გარეშე, რაღაც ღრებულს ელაპარაკები, მარადისობისკენ უბიძგებ. სიბრძნე, ამეტყველებული მოსწავლეების ენით, მათი გონებით, გულთა, ძალიან გულწრფელად, ზოგჯერ ხმადაბლა, მაგრამ მაინც გასაგებად და კარგად – ეს არის სწორედ სიბრძნე მინიატურაში. თავის დროზე, სწორედ ამ იგავებზე ძალიან ბევრი უფიქრიათ აღმოსავლეთში. როცა აღმოსავლეთის იხსენებს ადამიანი, ბუნებრივია, ამოტივტივდება ცნობიერებაში ისეთი სახელები, როგორცაა: ლაო-ძი, კონფუცი, ჯალალ ედ-დინ რუმი, ჰაფეზი, ფირდოუსი... ევროპელები ხშირად იხსენებენ, რომ ევროპა ეს არის პრაგმატული ხედვის სამყარო, ხოლო აღმოსავლეთი ეს არის მჭვრეტელობა, შინაგანი სიმშვიდე, მშვე-

ნიერების განცდა. აღმოსავლეთის ხშირად განაბულ სამყაროსაც უწოდებენ. ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ აღმოსავლეთის გარეშე საქართველო არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს მთელი დანარჩენი სამყარო. აღმოსავლური წვდომა ჰარმონიისა, ეს არის დღემდე მიუწვდომელი სიმადლე, რომელსაც ყველანი უნდა ვეზიაროთ. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც დღეს მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს. მათ მოუწიათ ფიქრი იგავებზე, რობაიებზე. საზოგადოდ, ყველა ადამიანმა უნდა იხატოს ერთი რამ, რომ ყოველი დღე მისთვის იყოს თუნდაც პატარა სიკეთის მომტანი. სწორედ ასეთი მშვენიერი დღე გვაჩუქეს დღეს ჩვენმა ბავშვებმა.

მამა ანტონი: აღმოსავლეთი არის შორსმჭვრეტელობა, შორს ხედვა. მოზარდის სულიერი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია აღმოსავლურ ლიტერატურასთან ზიარება. სასიხარულოა, რომ ბავშვები ასეთ სერიოზულ ღონისძიებებს აწყობენ, ეცნობიან, სწავლობენ, მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რომელიც ადამიანს სიბრძნეს, სიკეთეს, სიყვარულს ასწავლის. დღევანდელი ღონისძიება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როდენ ნიჭიერი და ინტერესიანი თაობა მოდის. მხოლოდ სწავლით, ძველთა ცხოვრებისეული გაკვეთილების გათვალისწინებითა და ჭეშმარიტებასთან ზიარებით მიიღწევა წარმატება.

ლიკა სულაძე, აღმოსავლეთმცოდნე: 24-ე საჯარო სკოლის ღონისძიებას არა ერთხელ დავსწრებივარ და ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩები. დღევანდელი ლიტერატურული საღამო საკმაოდ მაღალ დონეზე იყო მომზადებული.

ამ ასაკის ბავშვებისთვის არც ისე ადვილია აღმოსავლური ლიტერატურის გაცნობა. იგავის გააზრებულად წაკითხვა საკმაოდ სერიოზული საქმეა, რასაც მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი. დიდი მადლობა მათ, რომ დაინტერესდნენ და ჩვენამდე ასე ლამაზად და საინტერესოდ მოიტანეს აღმოსავლური სიბრძნე.

ლია კარიჭაშვილი, ლიტერატორი: ქართველი ერის და ქართველი წიგნიერი საზოგადოების ინტერესი აღმოსავლური ლიტერატურისადმი ძალიან ტრადიციულია. რუსთაველის გახსენებაც კმარა. იმდენად დიდია აღმოსავლური ნაკადი „ვეფხისტყაოსანში“, რომ ეს უკვე ცხადპყოფს, რამდენად ფასეული იყო იქიდან მონოდებული სიბრძნე, მხატვრული აღქმა სამყაროსი. ვფიქრობ, პოეზია, ზოგადად მხატვრული სიკეთეებია, წარმომავლობით აღმოსავლური, რასაკვირველია, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, ისევე როგორც რუსთაველი. სიბრძნე, რაც მინიატურებში დევს, არის ძიება ღვთისა, საღმრთო სიბრძნის. დარწმუნებული ვარ, ყველასთვის, ვინც კი გაეცნობა ამ წიგნს „სიბრძნე მინიატურაში“, საყვარელ და სამაგიდო წიგნად იქცევა. სასიხარულოა, რომ მოსწავლეები ეზიარნენ აღმოსავლურ სიბრძნეს, სილამაზეს, დააჭაშნიკეს იგი. მჯერა, ისინი შეიყვარებენ და კიდევ უფრო ახლოს გაეცნობიან აღმოსავლურ ლიტერატურას. მადლობა ღონისძიების ორგანიზატორს, ქალბატონ თამარს და მოსწავლეებს, ამადლებული განწყობა შეგვიქმნეს, რაც ყოველთვის ახლავს ჭეშმარიტ ლიტერატურას და პოეზიას.

მაია კობახიძე, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფ-

კავშირების პრეზიდენტი: მოსწავლეებმა მართლაც, რომ ამადლებული განწყობაზე დაგვაყენეს. მათი შთამაგონებელი ხმით ძალიან ლამაზად ისმინებოდა აღმოსავლური სიბრძნე, იგავები და რობაიები. დიდი მადლობა მათ და ქალბატონ თამარს იმისათვის, რომ მოსწავლეები საინტერესოდ და უმშვენიერესად აღმოსავლურ პოეზიას აზიარა.

ანი გოგიაშვილი, IX კლასის მოსწავლე: წიგნზე „სიბრძნე მინიატურაში“ მუშაობის პერიოდი ძალიან სასიამოვნო იყო, ჩვენ გარკვეული დროით ვეზიარეთ აღმოსავლურ კულტურას. თითოეულ იგავს განვიხილავდით, ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენს მოსაზრებებს. კრებული მრავალფეროვანია არა მხოლოდ იმ მხრივ, რომ მრავალი ერის სიბრძნეს აერთიანებს, არამედ იმიტომაც, რომ მასში სხვადასხვა პერიოდის იგავები მოხვდა. საკმაოდ დიდი შრომა დაგვჭირდა, რომ სტუმრების წინაშე საინტერესოდ წარვმდგარიყავით.

ნუცა გოციანიძე, IX კლასის მოსწავლე: იგავებით ჩვენი დაინტერესება განაპირობა წიგნმა „სიბრძნე მინიატურაში“, რომელსაც ქალბატონმა თამარმა გვაზიარა. ღონისძიებისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით, თითოეულ იგავზე მუშაობის პროცესი ძალზე საინტერესო იყო, ვმსჯელობდით, ვარჩევდით და ვითვისებდით აღმოსავლურ სიბრძნეს.

ლიტერატურული კომპოზიცია გაფორმებული იყო აღმოსავლური მფლოდებითა და ქორეოგრაფიული ელემენტებით. აღმოსავლური ცეკვა შეასრულა 24-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლემ **მარიამ როსტომაშვილმა** (ქორეოგრაფი – **კახა ხერხეულიძე**). უნიშნობათა შემნიშნავი მარადი სული კი VI კლასის მოსწავლე **სალომე ესენჯია** იყო, რომელიც ჰაეროვანი სვლითა და მართოლოვარ ხმით შესავალშივე გვამცნობდა: „*ვინმემ რომ მკითხოს ვინაობა, რა ვუპასუხო... და მეც მას ვუხუვარ, რომ არ ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ!*“ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ IX კლასის მოსწავლეები: **დავით მაზმიშვილი**, **თამარ და ნიკა ლურსმანაშვილები**, **ქეთევან ბურჭულაძე**, **ბექა ფარაჯანიშვილი**, **თამარ მანარაძე**, **თიკო კორინთელი**, **თამარ საღმრთელი**, **ნინო მანათაშვილი**, **ელენე ებრაელიძე**, **ანი ჯაფარიძე**. საღამოს ესწრებოდნენ 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, მშობლები და მოწვეული სტუმრები. ღონისძიების ორგანიზატორებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ლიტერატურულ კავშირს „ქარაბაზს“ თანადგომისათვის.

მაია ყიფიანი



პრაზენტაცია

„ბუსუნსულეობით“ დამკვიდრებული ლექს-ნახატები



ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრში 1 ივნისი - ბავშვთა დღის დღე - გამომცემლობა „პეგასის“ მიერ სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა, დასკვნითი ნაწილი კი **ზაზა აბზიანიძის** საბავშვო წიგნების წარდგინებას დაეთმო. საზოგადოებას „პეგასის“ მიერ გამოცემული „ბავშვთა“, „ბუსუნსულეობით“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოცემული „წითელკუდა“ წარუდგინეს.

„ბუსუნსულეობით“ მკითხველისთვის სრულიად უჩვეულო და უცნობ ჟანრს მიეკუთვნება - „სადილო“ და „საბავშვო“ პოეზიის მიჯნაზე შექმნილ ლექსებს ავტორმა თავისივე ილუსტრაციები დაურთო და სახელიც გამოუკონა - „ლექს-ნახატები“, ასე შექმნა „ბუსუნსულეობით“ ახალი ჟანრი. ინერტობა სრულიად მოულოდნელად, ლექსისა და ლექსის შორის, ტრანსპორტში, ქუჩაში... არავითარი შრომა, ამბობს მწერალი, ეს ლექსები თამაშ-თამაშით დაწერილი. ერთ ერთი პირველი ლექსი ამ წიგნისთვის ბატონ ზაზას სქელოსა და ჩიაზე დაუწერია:

ბაღში ცოცავს
ორი ჭია.
ერთი სქელო,
ერთიც - ჩია.
ეკითხება სქელო ჩიას:
რომ გამხდარხარ,
სულ არ გშია?
უპასუხა სქელოს ჩიამ:
- რას არ ვიყრი მუცელშია,
მაგრამ იქ რომ მიზის ჭია,
იმას ჩემზე მეტად შია.

„დღეს ბავშვის უფლებების დაცვის დღეს აღვნიშნავთ, თუმცა სამწუხაროა, რომ ეს უფლებები მხოლოდ 1 ივნისს გვახსენდება - გვითხრა მწერალმა **ზაზა აბზიანიძემ**, - იმედი მაქვს, ისინი უკეთეს ქვეყანაში იცხოვრებენ. თუმცა, სანამ ჩვენს ქალაქში ქუჩაში, ასფალტზე, მტვერში დანოლილ ან ხელგამოწვდილ პატარას ვიხილავთ და მას გულგრილად ჩაეუვლით, იქამდე ყველა დეკლარაცია, რომელსაც აქვეყნებენ იუნისეფი თუ სხვა ორგანიზაცია ან ყველა ნაწარმოები, რომელიც ბავშვებს ეძღვნება, დარჩება მხოლოდ დეკლარაცია და მხატვრულ ლიტერატურად, კაზმულ-სიტყვაობად. ეს ფონი ყოველთვის

ახლავს თუნდაც ჩემი წიგნების პრეზენტაციის დროს. ახლა ჩემი წიგნების პრეზენტაციის დროს, ახლა ჩემი წიგნების პრეზენტაციის დროს, ახლა ჩემი წიგნების პრეზენტაციის დროს...“

ლონისძიებს მწერალი **თამარი ფხაკაძე** უძღვებოდა: „დღევანდელი ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ორი გამომცემლობის საზიარო და ჩვენთვის საყვარელი ავტორის წიგნების წარდგინებას დაეთმო. მთლიანობაში კი, ეს წიგნები, საქართველოს ბავშვებს ეკუთვნის და არა მარტო მათ, რადგან ბატონ ზაზას შემოქმედება საბავშვო და სადილო პოეზიის მიჯნაზეა. ის თავდაც ასე მიიჩნევს: „ლექს-ნახატები ჩემი მეგობრებისა და მათი შეილებსიათვის“. მკითხველი ამ წიგნების ნაკითხვისას, აუცილებლად დარწმუნდება, რომ ამ არაჩვეულებრივი სამხიარულო ლექს-ნახატებით ისიამოვნებს როგორც პატარა, ასევე დიდი ადამიანიც. ეს არის უნივერსალური საბავშვო ლიტერატურის ნიშან-თვისება, რადგან „პიონიო“, „ბურატინო“ თუ სხვა კლასიკური საბავშვო ნაწარმოები ერთნაირ სიამოვნებას ანიჭებს როგორც ზრდასრულ, ისე პატარა მკითხველსაც.

აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ზაზას, ზეიმი კარგია, მაგრამ როცა ქუჩაში ამდენ უბედურებას და ამდენ ხელგამოწვდილ პატარას ვხედავთ, ეს ჩვენთვის დამორაგუნილია. მწერლის იარაღი კალამია და მან თავისი წვლილი სწორედ კალმით უნდა შეიტანოს ამ საქმეში. დღეს თეატრმა, ბატონმა მიმა ანთაქემ, მართლაც არაჩვეულებრივი ღონისძიება ჩაატარა, თუ შეიძლება ამას არაჩვეულებრივი ვუწოდოთ - საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა და დარბაზი სავსე იყო 500-ზე მეტი ობოლი, მიუსაფარი, დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვით. მათ მართლაც ისიამოვნეს ასეთი თბილი საღამოთი, მაგრამ, მოდი, ყველა ერთად ვისურვოთ, რომ უახლოეს წლებში, დარბაზი, ასეთი კატეგორიის ბავშვების თვალსაზრისით, ცარიელი გვექნოდეს.“

მარინა ცხადაია, გამომცემელი: „მკითხველი ზაზა აბზიანიძის კრიტიკული ელემენტები და ლიტერატურული პორტრეტებით იცნობდა. ამ რამდენიმე წლის წინ, იგი, სრულიად

მოულოდნელად, იმავე მკითხველის წინაშე წარდგა მის მიერვე ილუსტრირებული ზღაპრით „ამბავი დე ლა მელასი“. ადვილად შესამჩნევია, რომ „ბუსუნსულეობის“ იუმორიც, ლირიზმიც, ტექსტისა და ნახატის განუყოფელი ერთიანობაც სწორედ „დე ლა მელასი“ იღებს სათავეს. შემდეგ იყო „წითელკუდა“ (რომელსაც სკოლაში ასწავლიან და სკოლისავე სცენაზე დგამენ), „კოსტა ბრავო“, „ბავთა“, დაბოლოს, ადრე ცალ-ცალკე გამოცემული ზღაპრების კრებული „წითელკუდა“.

„ბუსუნსულეობით“ ნაწილ-ნაწილ ქვეყნდება ჩვენს უურხალ-გაზეთებში და ტრადიციული კითხვა, რომელიც თან სდევდა პირველ ნაცნობობას ამ ხალხიან და მომხიბლავ ლექს-ნახატებთან, ასეთი იყო: „წიგნად როდის გამოვა?“

დღეს თქვენ ხელთ სწორედ წიგნად გამოსული „ბუსუნსულეობით“ და გამომცემლობა იმედოვნებს, რომ ერთგულ მკითხველებთან ერთად „ბუსუნსულეობით“ ახალ მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს შეიძენს.

„ბუსუნსულეობით“ თაყვანისმცემლები უკვე შეიძინა, უფრო მეტიც, მას ათწლიანი ისტორია აქვს. 2001 წელს ზაზა აბზიანიძის წიგნმა „ბავთა“ იუნისეფის პრემია აიღო. ავტორის მიერ ილუსტრირებული, კონვენციის მუხლების მიხედვით შექმნილი ზღაპრები, კარგა ხანია, ბავშვებს თავიანთ უფლებებს შეახსენებს ასოციაციის პრეზიდენტის ბუსო ბუსუნსულას (დამსახურებული ნაგაზი, საერთაშორის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილებით) და ასოციაციის წევრების - აგნეა, ავგუსტინა, ამაკო და ლამზირა, კომპარინა, ლენჩო, პაკო, სოკრათი, ჭიჭიკო და სხვ. - მონაწირობით. ასეთი ორიგინალური ფორმით პატარებისთვის ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლების მინორდება და პოპულარიზება მართლაც სახალისო და საუკეთესო ფორმამაა.

ლონისძიებსავე მაცურებელმა „ბავთის“ ინსცენირება იხილა, რომელიც რეჟისორმა **თამარიკო თუხარელმა** მოამზადა. თეატრის დირექტორმა, ბატონმა **მიმა ანთაქემ** 10 წლის წინანდელი „ბავთა“ გაიხსენა, რომელიც მაშინ „ზღაპრის“ თეატრში დაიდგა და, იუნისეფის ფარგლებში, სექტაკლმა მთელი საქართველო მოიარა: „ბუსუნსულეობით“ ჯერ კიდევ იმ დროიდან იღებს სათავეს. სექტაკლი ჩაგვქონდა საქართველოს რაგიონებში, ვაჩვენებდით სკოლებში, ძალიან მოსწონდათ. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტი გვქონდა ლავდეხის ერთ-ერთ სასაზღვრო სოფელში, მოგვიანებით გავიგეთ, თურმე იმ სოფლის სკოლის ბავშვებმა ორგანიზაცია „ბუსუნსულეობით“ ჩამოაყალიბეს, რომელიც დღემდე არსებობს. ჩვენც ერთმანეთს ბუსუნსულეობის გეგმით



ილუსტრაციები წიგნად „ბავთა“

დღემდე. ძალიან გამიხარდა დღეს, კიბეზე რომ ამოვიდოდი, ვანო ამირხანაშვილი ვილასაც ეკითხებოდა: ხომ ვარ მე ბუსუნსულაო? ასე აიტაცა ყველამ ბუსუნსულეობის ფენომენი, ბუნებრივია, ეს მწერლის წარმატებაა. დღევანდელი ჩვენი სექტაკლი სახელდახელოდ, საპრეზენტაციოდ მოამზადა თამარიკო თუხარელმა, რომელიც თქვენ ასე თბილად მიიღეთ, ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო რეჟისორს და ჩვენს მსახიობებს.“

სულ მალე კი, „ბუსუნსულეობით“ ინგლისურენოვან მკითხველსაც გაახალისებს.

ქალბატონმა **მირანდა მამალაძე-თაყაიშვილმა** მწერალს ცოტა ხნის წინ სიურპრიზი გაუკეთა და „ბუსუნსულეობით“ ინგლისურად თარგმნა. თავიდან ქალბატონმა მირანდამ ერთ-ერთი ლექსი თარგმნა და მწერალს გაუგზავნა, შემდეგ, როგორც თვითონ გვითხრა, იმდენად შეიტყუა ლექსების თარგმნამ, რომ წიგნი ბოლომდე გადათარგმნა. წიგნი გამოსაცემად მზადაა, ავტორმა მხატვრულადაც გააფორმა და მალე მკითხველი ინგლისურ ენაზეც შეძლებს „ბუსუნსულეობის“ ნაკითხვას, რომელიც მართლაც

ისევე სახალისოდ შედგება, როგორც ქართულ ენაზე.



საღამოზე მწერალმა და მთარგმნელმა ლექსების ქართულ-ინგლისური ვარიანტები წაიკითხეს.

მერწმუნეთ, ტყის და ველის ამბებით თუ დრამებით დატვირთული ლექს-ნახატები მართლაც გაახალისებთ: საჩივრის წიგნსაც ჩახედავთ, ტურას და გოჭის სიყვარულის ამბავსაც შეიტყობთ, ზოოპარკის საიდუმლოებებსაც გაიგებთ, ჭაობ-ტბაობ-ზღვაობშიც იმოგზაურებთ და მოძალადე ფლამინგოს მოთხრობაც გაგაოცებთ: ბაყაყს ამშვიდებს ფლამინგო, შეგჭამ და უნდა გამოგ... და კოჭლ ხოჭოსაც უთანაგრძნობთ:

ქარს ქვეყანა მიაქვს,
ფეხი იღრძო ხოჭომ,
კიდევ ხუთი კი აქვს,
მაგრამ მაინც კოჭლობს.

მთლიანობაში კი „ბუსუნსულეობით“ გაზიარებთ სრულიად უჩვეულო, ზაზა აბზიანიძისეულ, ლიტერატურულ ჟანრს - ტექსტი, ლექსი, ნახატი.

ლალი ჯეღაძე



ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011 წლის 6 და 7 ივნისს, მთელი საქართველოს მასშტაბით, ატარებს IV კლასის მოსწავლეთა ეროვნულ შეფასებებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში.

ეროვნულ შეფასებებში მონაწილეობს 2 500 მოსწავლე საქართველოს 100-ზე მეტი საჯარო სკოლიდან. ეროვნული შეფასების პროცესში მოსწავლეებთან ერთად ჩართულები არიან შესაბამისი საგნების მასწავლებლები და სკოლების დირექტორები.

ეროვნული შეფასება არის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომლის მიზანია დადგინდეს, თუ რა ცოდნას და უნარებს ფლობენ კონკრეტული კლასების მოსწავლეები კონკრეტულ საგანში და რამდენად აღწევენ ისინი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. ასეთი ტიპის კვლევის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, სკოლების დირექტორებისთვის, მშობლებისთვის, სახელმძღვანელოების ავტორებისთვის და განათლების ექსპერტებისთვის.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარმომადგენლები თბილისისა და საქართველოს რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX, X, XI-კლასულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე დაესწრო.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის ინიციატივით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის „მსოფლიო კულტურის“ საგნობრივი პროგრამის ხელმძღვანელმა ვლადიმერ ვარდოსანიძემ კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებს ლექცია/სემინარი გაუმართა თემაზე – „ქალაქური ცხოვრების წესი“.

ვლადიმერ ვარდოსანიძის მოსწავლეებთან შეხვედრა ახალი არჩევითი საგნის – „მსოფლიო კულტურის“ პოპულარიზაციასაც ისახავდა მიზნად. ეს საგანი მომავალი, 2011-2012 სასწავლო წლიდან, არჩევითი კურსის სახით დაინერგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალო საფეხურზე – X, XI, XII კლასებში.

შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. ინტერაქტიურ საუბრებში მოსწავლეებმა ახალი საგნის მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატეს. მოსწავლეებიც და მათი პედაგოგებიც აქტიურად ჩაერთნენ დისკუსიაში.

2010-2011 სასწავლო წლის ბოლოს სრულდება ახალი არჩევითი საგნის „მსოფლიო კულტურა“ პილოტირება თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 12 საჯარო და 2 კერძო სკოლაში.

2011 წლის ივნისში გაიმართება „მსოფლიო კულტურის“, როგორც ახალი არჩევითი საგნის, შემავაზებელი სემინარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მსოფლიოს ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობების ხელმძღვანელებს შეხვდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმები გააცნო. ლონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს სპორტის და ახალ-

გაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

35 წარმატებული სტუდენტი ესტონეთის, პოლანდიის, უკრაინის, გერმანიის, ჩეხეთის, აშშ-ს, იტალიის, უნგრეთის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, ხორვატიის, სომხეთის, ლიტვის, ბელგიის უნივერსიტეტებიდან სტუდენტური თვითმმართველობების თბილისის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობენ. ფორუმის მთავარი მიზანი ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და ერთობლივი პროექტების განხორციელებაა.

ფორუმში 1 ივნისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა და 5 დღეს გასტანს, უცხოელ სტუდენტებთან ერთად მასში ქართველი სტუდენტური კავშირების ხელმძღვანელებიც მონაწილეობენ.



სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინი სტუდენტებს ზოგადი და უმაღლესი განათლების განვითარების, ზოგადად, განათლების ხარისხის ამაღლების კუთხით განხორციელებულ რეფორმებზე ესაუბრა და ის სამომავლო გეგმები გააცნო, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010-2015 წლების სტრატეგიის სასურველ შედეგებს უზრუნველყოფს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელიძემ და მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ თბილისის კლასიკური გიმნაზიის უფროსკლასელებს საქართველოში დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის შედეგები წარუდგინეს.

„დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა-საქართველო 2011“ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა „გორბი“ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ჩაატარა. კვლევა შეეხებოდა მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და საზოგადოების დამოკიდებულებას მართლმსაჯულების სისტემისადმი. გამოკითხვა საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა.

კვლევის ერთ-ერთი პუნქტი იყო – რამდენად დაცულია ბავშვი სკოლაში ძალადობისაგან. გამოკითხულთა 87% თვლის, რომ 2010-2011 წლებში ბავშვები სკოლებში უფრო მეტად უსაფრთხოდ არიან, ვიდრე წინა წლებში. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელი სამინისტროს მიერ „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის დანერგვამ და განვითარებამ განაპირობა: შეიქმნა მანდატურის ინსტიტუტი, განვითარდა ე.წ. უსაფრთხო ზონები, აიკრძალა ნაღდი ფულის ბრუნვა სკოლებში, დაინერგა და ამოქმედდა მოსწავლეთა საკრედიტო ბარათების სისტემა.

სამინისტროს მხარდაჭერით, ადამიანის უფლებების უკეთ გაცნობისა და სამართლებრივი კულტურის ამაღლების მიზნით, მუდმივად იმართება შეხვედრები პროკურატურის, იურიდიული სამსახურის და პოლიციის წარმომადგენლებთან.



ზემოაღნიშნული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად: დანაშაული სკოლებში 80%-ით შემცირდა, აღმოიფხვრა უმინუსო გაცდენები და დაგვიანებები, მშობლებში ამაღლდა სკოლებში მათი შეილები და ცულობისა და უსაფრთხოების განცდის ხარისხი და სხვ.



სამინისტროს დაკვეთით, კომპანია „მაგთიკომმა“ ერთიან საგანმანათლებლო ქსელი შექმნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ, „მაგთიკომის“ გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ და კომპანია „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორმა ირაკლი ლობჯანიძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

ახალი ქსელის მეშვეობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლა და რესურსცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კომპიუტერულ ცენტრთანა დაკავშირებული და, აგრეთვე, აქვთ ნდომი ინტერნეტთან. მაგთიკომმა აღნიშნული პროექტი დათქმულ ვადაზე 3 თვით ადრე დაასრულა.

წელს ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის საშუალებით, პირველად საქართველოში და მსოფლიოში, საატესტატო გამოცდები ჩატარდა, რომელთა მსვლელობის დროს ქსელთან დაკავშირებული არც ერთი სერიოზული ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთიანმა საგანმანათლებლო ქსელმა პირველი სერიოზული გამოცდა წარმატებით ჩააბარა.



შოთა რუსთაველის ეროვნული საგანმანათლებლო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

საერთაშორისო კონფერენციებზე დასასწრებად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსება კიდევ ცხრამეტმა ქართველმა მეცნიერმა მოიპოვა. ქართველი მკვლევარები საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში მიიღებენ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის განცხადებით, საგრანტო კონკურსის მიზანია საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ქართველ მკვლევართა ინტეგრაციის ხელშეწყობა. სულხან სისაურის თქმით, მნიშვნელოვანია ჩვენს მეცნიერებსა და მათ უცხოელ თანაგუნდის შორის ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდლების გაზიარების შედეგად ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება.

ივლის-აგვისტოს თვეებში დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისთვის ფონდის ელექტრონულ ბაზაში სულ 49 განაცხადი დარეგისტრირდა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, მოკლევადიანი სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში, მიმდინარე წელს, უკვე 53 მეცნიერი დაფინანსდა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლებს დააფინანსებს. ფონდის ელექტრონულ ბაზაში კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია უკვე დაიწყო.

საგრანტო კონკურსის მიზანია ქართული კულტურისა და მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა და ქართველოლოგიის დარგებით დაინტერესებულ უცხოელ სტუდენტთა და მეცნიერთა საქართველოში მოზიდავა.

კონკურსი ხელს შეუწყობს ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურად გააქტიურებას და ქართველოლოგიით დაინტერესებული ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების კონტაქტების გაღრმავებას.

კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ პროექტს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 30000 ლარით დააფინანსებს. გრანტის მსურველთათვის ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაცია 21 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობს.

საუბრაბი ბიზნისზე

იოსები



რუბრიკას უძღვება მამა თამაძიშვილი

ლა და წარუდგა ფარაონს“ (დაბ.41:14).

იოსები ცამეტი წლის წინ ჩამოვიდა ეგვიპტეში. ამ დროისთვის ის უკვე ოცდაათისა შესრულდა. წარუდგა ფარაონის წინ ჭეშმარიტი ღვთისმოსავი, ღმერთის რწმენითა და სიყვარულით ალვისილი გონებითა და გულით, გულწრფელი და მინდობილი. თავის უცნაურ ნიჭს სამართლიანად მიიჩნევდა ღვთის წყალობად, თავის თითოეულ საქმესა თუ სიტყვას ღმერთის სადიდებლად და ურწმუნოთა მოსაქცევად ამბობდა.

იოსები კვლავ იცვლის სამოსს. ეს მისი წინასწარმეტყველური უნარის განახლებასა და გამაფრებზე მიგვანიშნებს. მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება.

მიმართა ფარაონმა იოსებს: „...სიზმარი მესიზმრა, მაგრამ არავინაა მისი ამხსნელი. შენზე გავიგე, თუ სიზმარს მოისმენს, ახსნაც შეუძლია“ (დაბ.41:15). იოსები ღვთის ხსენებითა და ჩვეული თავმდაბლობით იწყებს ფარაონთან ურთიერთობას - „...მე რა შემიძლია, ღმერთი იწებებს ფარაონის მშვიდობას“ (დაბ.41:16). ხოლო ფარაონის სიზმრებს ასე ხსნის: „...ერთი და იგივეა ფარაონის სიზმრები. რის ქმნასაც ღმერთი აპირებს, თავად ამცნო ფარაონს. შვიდი სადი ძროხა შვიდი წელიწადია; შვიდი სადი თავთავი შვიდი წელიწადია. ერთი და იგივე სიზმარია ეს. მათ შემდეგ ამოსული შვიდი მჭლე და უგვანო ძროხა შვიდი წელიწადია; შვიდი ფშუტე და ხორშაკისგან დახრუკული თავთავი შიმშილობის შვიდი წელიწადია“ (დაბ.41:25-27). მონყალე ღმერთმა ორჯერ ანიშნა ფარაონს მომავალი შიმშილობის შესახებ. იოსების აზრით, ფარაონს სასწრაფოდ უნდა მოექმნა ჭკვიანი, გამჭრიახი მმართველი, რომელიც სწორად დაითვლიდა და გადაანაწილებდა ეგვიპტის შემოსავალს პირველი შვიდი წლის განმავლობაში, ნაწილს მოიხმარდა, ხოლო მეხუთედს შეინახავდა და შიმშილობის შვიდ წელიწადში ყაირათიანად გამოიზოგავდა. „უთხრა ფარაონმა თავის მორჩილთა: ისეთ ვაცს თუ ვიპოვებ, ვისშიც ღვთის სული იქნება? უთხრა ფარაონმა იოსებს: რაკი გაგიმხილა ღმერთმა ეს ყველაფერი, სხვა ვინ იქნება შენსავით გონი-

ერი და ბრძენი. შენ იქნები ჩემი სახლის მოურავი და შენს სიტყვას დაემორჩილება მთელი ჩემი ხალხი; მხოლოდ ტახტი ვიქნები შენზე აღმატებული“ (დაბ.41:38-40) და წაიძრო თითიდან ბეჭედი, ნიშნად მისივე სიტყვებისა, უსახსოვრა იოსებს ეს ბეჭედი - „აჰა, დამიდგენი ხარ მთელი ეგვიპტის განმგებელი!“ (დაბ.41:41) - შემოსა იოსები ზეზის შესამოსელით, ოქროს ძენკვი ჩამოჰკიდა ყელზე, დასვა თავის მეორე ეტლზე. ამ დღიდან იოსები ეგვიპტის ფაქტობრივი მმართველი გახდა. ფარაონის ნებით, იოსებს სახელად ცაფნათ-ფაფნაბი უწოდეს, ხოლო ცოლად ასენათი, ონის (მზის ქალაქის) ქურუმის ფოტიფერაის ასული მიათხოვეს. ქურუმის ოჯახთან დანათესავება მეტად საინტერესო ფაქტია. ის გარდა გარკვეული დამატებითი პატივისა, ეგვიპტულ ქურუმთა ინსტიტუტში დაუნჯებულ ცოდნასთან თანაზიარობას ნიშნავდა. ეს კი ამ ცოდნასთან ღია დაპირისპირების გვერდის ავლით ჭეშმარიტი ღმერთის რწმენის დამკვიდრების საშუალებასაც იძლეოდა. გაეხსენოთ, რომ იოსებამდე იყო აბრაამი. ეგვიპტეში მისმა ცხოვრებამ და ქადაგებამ გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა იქაურებს ჭეშმარიტ ღმერთზე. აბრაამის შემდეგ იოსების ჭეშმარიტება რწმენამ თავისი ნაყოფი მოგვიანებით გამოიღო. როგორც ისტორიიდან ვიცით, ფარაონმა ამენჰოტეპ IV-მ ეგვიპტეში დიდი რელიგიური რეფორმა წამოიწყო, ხოლო ეხნატონის მცდელობაც კი უჭირდა, რომ სახელმწიფო რელიგია მონოთეისტურ ჩარჩოებში მოექცია.

და აი, დადგა შვიდი უხვი, ხვავიანი წელი. იოსების მითითებითა და ხელმძღვანელობით მთელ ქვეყანაში ააგეს მარცვლეულის შესანახი სათავსოები, ზედმინეწით ზუსტად ჰყოფდნენ მოსავალს და ინახავდნენ. მაგრამ დადგა შიმშილობის წლებიც. არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მთელ მიმდებარე ქვეყნებში გვაღვა დაიჭირა, მოსავალი გაფუჭდა და სიღუბნით დაისაღვურა. მხოლოდ ეგვიპტელები ცხოვრობდნენ მშვიდად, რადგანაც სწორი გამოდგა იოსების წინასწარმეტყველება. „...ყოფილი ყველა ქვეყანაში, მაგრამ ეგვიპტის ქვეყანა იპოვებოდა პური“ (დაბ.41:54).

მოსავლის გარეშე დარჩნენ ქანაანელებიც. უთხრა იაკობმა შვილებს წასულიყვენ ეგვიპტეში, ეყიდათ ცოტადენი ხორბალი და შინ მარცვლეულით დაბრუნებულიყვენ. ჩავიდა იოსების ათი ძმა ხორბლის საყიდლად ეგვიპტეში. ხოლო უმცროსი ბენიამინი კი შინ დარჩა მამასთან. იაკობს იოსების შემდეგ რახელის უმცროსი შვილია დარჩენოდა ნუგეშად.

„იოსები იყო ხელისუფალი ქვეყანაში; ის იყო ამ ქვეყნის ხალხის დამპყრებელი. იოსების ძმებიც მივიდნენ მასთან და მდაბლად თავყვინისცეს. დაინახა იოსებმა თავისი ძმები და იცნო, მაგრამ არ გაამხილა თავი და მკაცრად დაუწყო ლაპარაკი. უთხრა: საიდან მოსულხართ? მიუგეს: ქანაანის ქვეყნიდან პურის საყიდლად“ (დაბ.42:6-7); ძმებმა ვერ იცნეს იოსები. რალა თქმა უნდა, ეგვიპტეში გატარებულმა წლებმა იოსები გარეგნულად ძლიერ შეცვალა. ამასთან, ის „უცხო“ სტუმრებთან თარჯიმანის დახმარებით საუბრობდა. ძმების დანახვაზე ათასი ფიქრი და მოგონება აეშალა, გაახსენდა მამა, მშობლიური კერა, ბავშვობის სიზმრები, ძმების სიმუხთლე... იფიქრა - მოვიდა ჩემი სიზმრების ასრულების დრო... „უთხრა: მსტორები ხართ, ამ ქვეყნის სიმიშვლის დასახვერად მოხვედით“ (დაბ.42:9). ძმებმა იუარეს და მოჰყვეს ფიცს, რომ ბოროლი ზრახვით კი არა, პურის საყიდლად იყვენენ მოსულები. იოსები მაინც არ იშლიდა თავისას.

„უთხრეს: თორმეტი ძმანი ვართ შენი მორჩილი, ერთი მამის შვილი. უმცროსი ახლა მამასთანაა, ერთი აღარა გვყავს“ (დაბ.42:13).

იმდროინდელი კანონების მიხედვით, მსტორები თავიანთი ავი ზრახვებით ქურდებს უტოლდებოდნენ, ხოლო ქურდობა სიკვდილით ისჯებოდა. ძმებს კი ჯერ არ მოენანიებინათ დიდი ხნის წინანდელი დანაშაული. მათ, ფაქტობრივად, მამას შვილი მოჰპარეს და სასიკვდილოდ გამოემეტეს.

იოსების საქციელში ღვთის ნება გამოსჭვივის. ის საშუალებას აძლევს მათ გამოიყიდონ დანაშაული. იოსების ტონი მკაცრი და შეუვალია: „უნდა გამოვცადოთ. ფარაონს ვფიცავ, ვერ გახვალთ აქედან, ვიდრე თქვენი უმცროსი ძმა აქ არ მოვა. გაგზავნეთ ერთი თქვენგანი და მოიყვანოს თქვენი ძმა; დანარ-

ჩენები დატყვევებული იქნებით. მაშინ გაირკვევა თუ მართლად ამბობთ. თუ არა და, ფარაონს ვფიცავ, მსტორები ხართ“ (დაბ.41:15-16). იოსები სამი დღით აპატიმრებს ძმებს საპრობოლემო, შემდეგ ერთ მათგანს - სიმონს, მათ თვალწინ დაადებს ბორკილებს და ტოვებს ეგვიპტეში. დანარჩენებს კი შინ გაშვებას პირდება იმისათვის, რომ უმცროსი ძმა მოიყვანონ და ამით თავიანთი სიმართლე დაამტკიცონ. „თუ პატიოსნები ხართ, დარჩენი თქვენი ერთი ძმა საპრობოლემო, სხვები წადით და მიუტანეთ პური თქვენიანებს. აქ მომიყვანეთ თქვენი უმცროსი ძმა, რათა დამტკიცდეს თქვენი ნათქვამი და ავცდეთ სიკვდილი“ (დაბ.42:19-20). როგორც აღვნიშნეთ, იოსები ძმებს თარჯიმნის დახმარებით ესაუბრებოდა. მათ არ ეგონათ, რომ იოსებს ებრაული ენა ესმოდა, ამიტომაც მოურიდებლად გადაულაპარაკეს ერთმანეთს: „მართლაც დამნაშავე ვართ ჩვენს ძმასთან, რადგან ვუყურებდით მის ტანჯვას და არ შევიბრალეთ, როცა გვედრებოდა. ამიტომაც დავატყვევებთ თავს ეს გასაჭირი“ (დაბ.42:21). ამ სიტყვების გაგონებაზე შეტრიალდა იოსების დანარჩენი შვილები. რეუბენმა, უფროსმა ძმამ კი დაამატა: „...ხოვმ გეუბნებოდით, ბავშვის ცოდვაში ნუ ჩავდებოდათ-მეთქი. თქვენ კი არ დამიჯერეთ და, აჰა, ახლა მოგვეკითხა კიდევ მისი სისხლი“ (დაბ.42:22).

ბრძანა იოსებმა, ხორბლით ავესოთ ძმების ვაშკარანები, გადახდილი ვერცხლი მათ ვაშკარანებში ჩაედოთ და საგზალი მიცათ. ასეც მოექცნენ. ძმებმა აჰკიდეს ტომრები სახედრებს და გაუდგნენ გზას. ღამის გასათევად ერთ ადგილზე დაბანაკდნენ. ჩამოცალეს ტვირთი და ერთ-ერთმა მათგანმა თავის ტომარაში ვერცხლის ფული ნახა. კიდევ უფრო შენუხდნენ ძმები.

შინ დაბრუნებულები მწუხარებით მოუყვეს მამას თავს გადამხდარი. ისიც ამცნეს, რომ თუ შემდეგ წასვლაზე ბენიამინს არ წაიყვანდნენ, ეგვიპტის მმართველი სიმონსაც არ გაათავისუფლებდა. იოსების მიზანი კი თითოეული მათგანის გულში ჭეშმარიტი სინანულის აღძვრა იყო, რადგან სხვაგვარად ძმები საბოლოოდ დაკარგავდნენ ღვთისაქენ საველ გეზს.

ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამინისტროში გამართულ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების გამოცემის პრეზენტაციას დაესწრო. მონვეულ სტუმართა შორის იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, განათლების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებათა და საქართველოში მოქმედ სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლები.

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების გამოცემა წმინდა საყრდის სადესპანოს (ვატიკანის საელჩოს) ინიციატივით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა კურთხევითა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან თანამშრომლობით მომზადდა. აღნიშნული პუბლიკაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ვატიკანის საელ-

ჩოს მიერ დაიბეჭდა.

პუბლიკაცია საქართველოს თითოეულ სკოლას საჩუქრად გადაეცემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოცემული გამოცემა წარმოადგენს ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ორიგინალური ტექსტების თარგმანს თანამედროვე ქართულ ენაზე.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ეს გამოცემა ქართველ სტუდენტებს, მოსწავლეებსა და ყველა დაინტერესებულ პირს ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურასთან დაახლოვებს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პუბლიკაციის მნიშვნელობას და იმ დიდ მისიას, რის გამოც სამინისტრომ აღნიშნულ პროექტს მხარი დაუჭირა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ სომხეთის საგამოცდო ცენტრის დირექტორს კარო ნასიბიანს, სომხეთის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ნაციონალური ცენტრის დირექტორს არგ გრიგორიანს და სხვა სომეხ კოლეგებს ის უახლესი სისტემებით აღჭურვილი სასერვერო ცენტრი დაათვალიერებინა, საიდანაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, მთელი საქართველოს მასშტაბით, საატესტატო გამოცდების მიმდინარეობას ვიდეოგამოსახულების საშუალებით აკვირდებოდნენ.

სომეხი კოლეგები საქართველოში რამდენიმე დღიანი ვიზიტით იმ სახელების გასაცნობად ჩამოვიდნენ, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბოლო პერიოდში განახორციელა. პირველ რიგში, სომეხური დილეგაცია საატესტატო გამოცდების CAT-ის სისტემით ჩატარებით დაინტერესდა და საინფორმაციო ცენტრში სტუმ-

რობამდე, სამინისტროს გამოცდების ეროვნულ ცენტრს ეწვია. 4-11 ივნისს, ცენტრში, საატესტატო გამოცდებს მსჯავრდებულები და ის მოსწავლეები აბარებენ, რომლებიც FLEX-ის პროგრამით ბოლო ერთი წელი აშშ-ში იმყოფებოდნენ.

სომხეთის წარმომადგენლები, ასევე, დაინტერესდნენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამით, რომლის თანახმად, ყველა პირველკლასელი სახელმწიფოსაგან საჩუქრად ნეტოუსს მიიღებს. ამასთან, დაწყებითი კლასის მოსწავლეები ინგლისურ ენას პირველივე კლასიდან შეისწავლიან. სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია ინტერნეტიზაციისა და სკოლების კომპიუტერებით აღჭურვის თაობაზეც. ეს პროცესი, ფაქტობრივად, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში უკვე დასრულებულია.


ვიზიტის ფარგლებში, სომეხ კოლეგებს არაერთი შეხვედრა აქვთ დაგეგმილი როგორც სამინისტროს, ასევე სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების წარმომადგენლებთან.



2011 წელს გრიფირებული სახელმძღვანელოები „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან“



ბუნება - სრული კურსი I, II, III, IV, V, VI კლასი



ქართული ენა და ლიტერატურა - სრული კურსი I, II, III, IV, V, VI კლასი



განსაკუთრებული შეთავაზება მათთვის, ვინც აირჩევს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სახელმძღვანელოებს:

- სიახლე თქვენი ბიზნესის განვითარებისათვის!**
 სკოლები, რომლებიც აირჩევენ I-VI კლასებში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ რომელიმე ერთი საგნის კურსს, სკოლის ბიბლიოთეკებისათვის არასასკოლო წიგნებზე მიიღებენ **15%-იან** ფასდაკლებას, ხოლო სკოლები, რომლებიც აირჩევენ I-VI კლასებში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ორი საგნის კურსს, არასასკოლო წიგნებზე მიიღებენ **25%-იან** ფასდაკლებას. გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კურსის არჩევის შემთხვევაში სკოლას საჩუქრად გადაეცემა საბავშვო საკითხავი წიგნებისა და მაგნიტური ანბანის კომპლექტი, ხოლო ბუნებისმეტყველების კურსის არჩევის შემთხვევაში – ბუნებისმეტყველების სასკოლო ლექსიკონისა და თემატური ენციკლოპედიების კომპლექტი.
- წიგნები ადგილზე მიტანით – აპრობირებული და მიზიდვლი სერვისი!**
 მხოლოდ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან“ „ლიბერთი ბანკსა“ და „სახალხო ფოსტასთან“ თანამშრომლობით საქართველოში არსებულ ყველა სკოლას შესაძლებლობა ეძლევა, გა მომცემლობის წიგნები ადგილზე მიიღოს ფასნამატის გარეშე. შეკვეთის მინიმალური თანხაა 100 ლარი. დარეკეთ და ისარგებლეთ შეთავაზებით!
- ფასდაკლება გამომცემლობის მაღაზიაში შექენისას:**
 სკოლებს შეუძლიათ, ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინონ სახელმძღვანელოები ერთიანი უპროცენტო განვადებით. 300-დან 3000 ლარამდე ღირებულების სახელმძღვანელოების შექენისას შეგიძლიათ ისარგებლოთ **10%-იანი** ფასდაკლებით; 3000-ზე მეტი ღირებულების სახელმძღვანელოების შექენისას **15%-იანი** ფასდაკლებით.
მასწავლებლებს კომპლექტები გადაეცემათ უფასოდ.
- კონკურსი „წლის საუკეთესო მასწავლებელი“**
 კონკურსში მონაწილეობის მიღება უფასოა და ძალიან მარტივი: სასწავლო წლის ბოლოს რედაქციაში გამოგზავნეთ ან მოგვიტანეთ თქვენ მიერ შესწორებული მოსწავლის რეფლუები I-IV კლასებში (მაქსიმუმ სამი) ან თქვენი ხელმძღვანელობით მომზადებული პროექტი მოსწავლეების ჯგუფთან ერთად V-VI კლასებში და ავტომატურად გახდებით კონკურსის მონაწილე. კონკურსში გამოვლინდება წლის სამი საუკეთესო მასწავლებელი თითოეულ საგანში და მიიღებს პრემიას. **I პრემია: 1500 ლარი; II პრემია – 1000 ლარი; III პრემია – 500 ლარი**
- უფასო ინტარნეტ ტანტავი ჩვენი სახელმძღვანელოების მიხედვით შედგენილი ელექტრონული ტესტები, რომლის ჩამოტვირთვასაც შეძლებენ მხოლოდ ის სკოლები, ვინც ამ სახელმძღვანელოებით ასწავლის. ასეთი ელექტრონული ტესტები მომავალში სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარებაში დაეხმარება მოსწავლეებს.**

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ საიტზე www.sulakauri.ge ან დაგვიკავშირდით ტელეფონით: (832) 291 09 54; (832) 291 11 65. ელ-ფოსტა: sales@sulakauri.ge
 საბანკო რეკვიზიტები: შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
 ანგარიშის ნომერი: 36 087 250 ბანკის კოდი: 220 101 480

„ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელეზი“



როცა სატელევიზიო გადაცემაში ვხვდავ, თუ როგორ დიდ ყურადღებას იჩენენ ჩვენი ქვეყნის ლიდერები, ბიზნესმენები ბავშვთა სახლების აღსაზრდელების მიმართ, მაღლიერების გრძნობით ვივსებ. მინდა, რაც შეიძლება ნაკლები იყოს ჩემს ქვეყანაში ამ ტიპის სახლები. მე 14 წლის ვარ, საკმაოდ წარმატებული მოსწავლე, ვფიქრობ უფრო წარმატებული ვიყო, არ ჩამოვრჩე დღევანდელი ცხოვრების რიტმს. მინდა მქონდეს ჩემი ბიზნესი და დანაზოგი, რასაც ყოველთვის ბავშვთა სახლს გავეუწოდებ.

მიმდინარე წლის 29 აპრილს, სატელევიზიო გადაცემა „პროფილში“, ქალბატონ მაია ასათიანს მონაწილეობა მიმიწვეს ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. გადაცემას გულსყურით მოვუსმინე. სიმართლე გითხრათ, მთელი ღამე ვფიქრობდი ამ გადაცემაზე, იმ აღსაზრდელებზე, რომლებიც გადაცემაში მონაწილეობდნენ. მეორე დღეს, სკოლაში მისულმა ჩემი კლასის დამრიგებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ნათელა ქობალავას გავუზიარე ჩემი ჩანაფიქრი. მან ჩვეული გულდასმით მომისმინა და

მითხრა, რომ დირექციას ჩააყენებდა საქმის კურსში. დირექტორმა, ბატონმა რევაზ კორძაიამ მოიწონა ჩემი ჩანაფიქრი. გადაწყდა: ვნეოდით ტერიტორიულად ახლომდებარე სენაკის ბავშვთა სახლს.

პირველ ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღეს, ჩვენი სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეთა დელეგაცია, დირექციასთან ერთად, ხელდამშვენებულები ვესტუმრეთ სენაკის ბავშვთა სახლს. მათთვის ჩვენი სტუმრობა მოულოდნელი იყო. ძალიან თბილად მიგვიღეს. უსაზღვრო იყო მათი სიხარული. აღსაზრდელებმა არაჩვეულებრივი სითბო გამოავლინეს. არასოდეს დაგვავიწყდება მათი სიყვარულითა და სიხარულით სავსე თვალები. შეხვედით თითქმის ყველა ჯგუფს, სულ 48 აღსაზრდელი ჰყავთ. ირგვლივ წესრიგია, სისუფთავე და სიკოხტავე, რაც ამ სახლის აღმზრდელების, ხელმძღვანელის, ყველა იქ მომუშავე ადამიანის თავდადებად შრომის შედეგია.

სამწუხაროდ, რაიონიდან გასული იყო ბავშვთა სახლის დირექტორი, ქალბატონი თეა სიმონია. მეგზურობა ადმინისტრატორმა, ბატონმა ლევან ტყეშელაშვილმა გაგვიწია.

ერთმანეთის გაცნობისა და მოკითხვის შემდეგ მიგვიწვიეს სააქტივო დარბაზში, სადაც, როგორც სტუმრებს, პირველი სიტყვა ჩვენ მოგვცეს. ბედნიერი ვიყავი, რადგან საშუალება მომეცა, პირისპირ მეთქვა ჩემი სათქმელი: „ჩემო კარგებო! ჩემო ძვირფასებო! მინდა მოვილოცოთ ბავშვთა საერთაშორისო დღე-ღვეიერობ, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შეხვედრა, ჩვენი გაცნობა. ბედნიერი ვარ, ჩემი ოცნება რომ ასრულდა, ჩვენ თქვენთან ვართ. ჩვენ ვნახეთ და დავინახეთ, რომ თქვენ საუკეთესო გარემო გექვთ და ამის სულისჩამდგმელი თქვენი სახლის ხელმძღვანელი, ქალბატონი თეა სიმონია, რომელიც საკუთარ შვილს ივინყებს, თუ რომელიმე თქვენგანი გასაჭირშია. მინდა ჩემი სკოლის დირექციის, პედაგოგიური კოლექტივის, მშობლებისა და მოსწავლეთა სახელით მადლობა გადავუხადო მას. დღეს ჩაყვრება საფუძველი ჩვენს ურთიერთობას, ჩვენს მეგობრობას. ჩვენი სკოლა ტრადიციების სკოლაა. მართალია, მოსწავლეთა კონტინენტი მრავალიცხოვანი არ არის, მაგრამ ამ პატარა სკოლაში დიდი საქმე კეთდება ჩვენს საკეთილდღეოდ. სკოლას

ჰყავს პრეზიდენტის სტიპენდიანტი მასწავლებელი, ქალბატონი დარეჯან ცომაია. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია სატელევიზიო გადაცემა „ყველაზე ჭკვიანის“ გამარჯვებული ანა ბარკალაია. სკოლასთან ფუნქციონირებს სამუსიკო სტუდია, შექმნილია ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“, რომლის წევრები ლაურეატები არიან. ანსამბლს ხელმძღვანელობს ხელოვანი პედაგოგი, ქალბატონი ნათელა მიგინეიშვილი. ისინი დღეს მცირე რეპერტუარით წარდგებიან თქვენ წინაშე. აი, ეს ვართ ჩვენ.

ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც დღეს ჩვენ მოგვითანთ, ეს თქვენდამი სიყვარულითა და სიხარულით სავსე გულიებია. მოდით, ჩაუყაროთ საძირკველი ჩვენს ურთიერთობას. დაე, არასოდეს წაიშალოს ის. ჩვენ თქვენთან ვართ. დადგება დრო, თქვენ მოგინვეთ ჩვენთან და ერთმანეთისადმი განვდილი ხელები სიყვარულის, თანადგომის, ურთიერთპატივისცემის სანდარი იქნება.“

მასპინძლებს მივსალმა ჩვენი სკოლის დირექტორი, ბატონი რევაზ კორძაია და პედაგოგი ჯულიეტა მისაია. სცენაზე პირველები

ჩვენი სკოლის ფოლკლორული ანსამბლის წევრები ავიდნენ. შემდეგ სცენა მასპინძლებმა დაიკავეს. შთამბეჭდავი იყო ბავშვთა სახლის მეორე ჯგუფის აღსაზრდელის უჩა ოსეფოვის მიერ დედაზე ნაკითხული ლექსი. ასევე მოწონება დამსახურა იმავე ჯგუფის აღსაზრდელმა ვანო ხმალაძემ. მოგვესალმა აღსაზრდელების უფროსი თაობა: ვალერი ჩიტაია და თამუნა წეროძე. მათ ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს. გადავიღეთ სამასსოვრო ფოტოსურათები. ჩვენი შეხვედრა დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ ეს იყო შემდგომი შეხვედრის დასაწყისი. ჩვენ არ დავემშვიდობებთ მათ, უბრალოდ, ვუთხარით: ნახვამდის, რადგან ჩვენი შეხვედრები გაგრძელდება. ყველაფერს გადავკეთებთ იმისთვის, რომ სენაკის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გავეუმრავლოთ ისეთი ბედნიერი და ღამაზი დღეები, როგორიც პირველი ივნისი იყო მათთვის და, რა თქმა უნდა, ჩვენითვისაც.

ცოტნე ბაგვალია
აბაშის მუნიციპალიტეტის
ნოღოხაშის საჯარო-საბაზო
სკოლის VII კლასის მოსწავლე

მრავალ გაზაფხულს, ჩემო ქვეყანავ!

30 მაისს, ახალციხის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის III კლასში (კლასის ხელმძღვანელი – მარიამ მიქაბერიძე, მუსიკის მასწავლებელი – ნინო ნარმანიძე), ჩატარდა ღონისძიება თემაზე: „მომილოცინა ეს გაზაფხული, მრავალ გაზაფხულს, ჩემო ქვეყანავ!“.

დეკორაცია – აყვავებული ხეები, ფერად-ფერადი ყვავილებით მოჩითული მინდორი, მოფუსფუსე მწერები, მოკაშკაშე მზე, შხაპუნა წვიმის წვეთები, მოფარფატი პეპლები – გაზაფხულის ჯადოსნურ პეიზაჟს ასახავდა. ლექსს სიმღერა ცვლიდა, ენძელას – ია, ვარდს – მზე, წვიმას – მერცხალი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი და ამაღლებელი იყო მერცხალი, რომელსაც ნისკარტით მოჰქონდა ყვავილი აფხაზეთიდან საქარ-

თველოს შუაგულსკენ, თითქოს საქართველოს გამთლიანებას გვამცნობდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი ჟენია მერაბიშვილი, რესურსცენტრის უფროსი ნინო დემეტრაძე, სასწავლო ნაწილის გამგეები: მარიამ კაკაჭაჭიშვილი, ნანა დათაშვილი და მშობლები.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ჟენია მერაბიშვილმა პატარებს უსურვა, რომ ყოველი დღე მათთვის გაზაფხული ყოფილიყო და მუდამ გალალბულელებ ველოთ, მათი სახეებიდან ღიმილი არასოდეს გამქრალიყოს.

ნანა ალვაძე
მშობელი



ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის შესახებ კონფერენციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაში ასევე მონაწილეობდნენ: სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში, ელჩი ფილიპ დიმიტროვი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში რულანდ მონაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის, ევროკავშირისა და ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

რეფორმა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით საერთაშორისო სტანდარტების დაცვას ითვალისწინებს. რეფორმის მიზანია, შექმნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი იქნება ახალი დანაშაულის პრევენცია, მეორე მხრივ, ის უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას დაკავების ადგილებსა და პრობაციაში, ხელს შეწყობს არასრულწლოვანთა საზოგადოებაში რესოციალიზაციას.

შემაჯავებელი მესადინობა

55-ე ბაგა-ბალი ბესიკის ქუჩაზე ფუნქციონირებს. მთლიანად შეცვლილია, განახლებულია გარემო, ბალის მიმდებარე ტერიტორია, თავად ბალის შენობა; შესვლისთანავე იგრძნობა შემოქმედი ადამიანებისთვის დამახასიათებელი დახვეწილი გემოვნებით რომ არის დამშვენებული ეს ფერადოვანი სამყარო.

სწორედ ამ ბალის დამამთავრებელი ჯგუფის შემაჯამებელი მეცადინეობით გამოწვეული შთაბეჭდილება გვსურს გადმოგვცეთ. ტრადიციისამებრ, ასეთ მეცადინეობაზე მშობლებს ყოველთვის იწვევენ. ძლიერ ველავდით, უფრო მეტად, ვიდრე პედაგოგი და ჩვენი შვილები. საინტერესო იყო მეცადინეობის ფორმა. ახალგაზრდა პედაგოგმა **ეკა ხოფერიამ** ჩვენი პატარები ორ ჯგუფად დაყო. სახელებიც შეურჩია ამ ჯგუფებს: „ერუდიტი“ და „ვუნდერკინდი“. პატარები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს წლის განმავლობაში მიღებული ცოდნის გამომუშავებაში. სწორი პასუხის შემთხვევაში, გამარჯვებული ვარსკვლავით ჯილდოვდებოდა. ამ ფორმამ მეცადინეობა სახალისო გახადა. მიმატება და გამოკლება, გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, სიტყვების დამარცხვა, შედგენა, თვლა ჩვეულებრივ და უკულმა, ათვლის სისტემაში ამა თუ იმ ციფრის ადგილის სწორად გააზრება... ეს ყველაფერი პატარებისთვის იოლად პასუხგასაცემი საკითხები იყო. პედაგოგმა ისინი თანდათან უფრო რთულ თემებზე მსჯელობაში აიყოლია.

ნებისმიერმა იცოდა: რამდენი კონტინენტი თუ ოკეანე არსებობს?



რომელია ყველაზე ცხელი კონტინენტი? რა არის უდაბნო, ოაზისი? რით გადაადგილდებიან უდაბნოში და რატომ? რამდენ პლანეტაზეა სიცოცხლე? რამდენი ენა და ანბანი არსებობს?.. რაც მთავარია, იგრძნობოდა, რომ მათი პასუხები არ იყო გაზეპირებული, ისინი ფიქრობდნენ და გააზრებულად მსჯელობდნენ. ზოგიერთ მშობელს შეეცოდა კიდევ თავისი პატარა ამ რთულ საკითხებზე მსჯელობისთვის.

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ, ჩვენი აზრით, ერთ მნიშვნელოვან მომენტზე – პატარებმა გამოამუშავეს გუნდური თამაშისთვის საჭირო თვისებები. უნდა გენახათ, როგორ ეხმარებოდნენ ერთ-

მანეთს სწორი პასუხებით. თვალეში შესცივინებდნენ ეკა მასნავლებელს, ეამაყებოდნენ, რომ შრომა დაუფასეს.

ნამდვილად არ ვიცით, რომელი პროგრამით (ძველი თუ ახალი) მუშაობდა ეკა ხოფერია. ამას მშობლისთვის, ალბათ, არც აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ვირწმუნეთ, ვერც ერთი პროგრამა, თუნდაც ყველა ერთად აღებული, ვერ მისცემს პატარას ასეთ გააზრებულ ცოდნას საქმის, ბავშვის ძლიერი სიყვარულის გარეშე. ეს სიყვარული კი 55-ე ბაგა-ბაღში პატარებს ნამდვილად არ აკლიათ.



ადა რაიკი, ანა ჭიშვილი

სკოლაში

საფეხბურთო სკოლიდან საჭაროდ

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები თბილისის 35-ე სკოლასაც შეეხო – ჯერ იყო და საფეხბურთო სკოლიდან ჩვეულებრივ საჯარო სკოლად გადაკეთდა, მერე კი მათი დირექტორი, ახლო წარსულში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი **არჩილ არველაძე** ლოტოტრონიში შეიყვანეს, ბრმა წილისყრამ კი სპორტული სკოლიდან ჩვეულებრივში გადაიხარა. არადა, თავის დროზე ის იმ სკოლაში სწორედ იმიტომ მივიდა, რომ ცნობილი სპორტსმენი იყო და იცოდა სპორტული სკოლის პრობლემები, მისი საჭიროება და ავან-ჩაჟანი. ლოტოტრონის პრინციპის არაფექტურობა დღეს უკვე სახელმწიფომაც აღიარა, არველაძესთან მიმართებაში დაშვებული უზუსტობა კი იმთავითვე გამოასწორეს და კვლავ 35-ში დააბრუნეს.

თუმცა, ამით სკოლის პრობლემები არ დამთავრებულა, რაც უკვე ორგანიზაციულ ხასიათში გამოიხატა და არა მატერიალურ-ტექნიკურში. ადრე, როცა სკოლის საფეხბურთო პროფილი მკაცრად იყო განსაზღვრული, მხოლოდ ფეხბურთით დაინტერესებული მოსწავლეები ჰყავდათ, მაგრამ როცა საჯარო გახდა, მისი კარი ყველასთვის გაიღო. შედეგად კი, მოსწავლეთა შორის არასპორტული კონტინენტი გაჩნდა, ძირითადად გოგონები, რამაც მათი სპორტული აქტივობის თვალსაზრისით დამატებითი პრობლემები წარმოქმნა – საჭირო გახდა მათთვის მისაღები მოდელის შემუშავება. მით უფრო, ახალი კანონი, სკოლა – მოსწავლეთა შორის არასაზოგადოება თავად ირჩევენ სასურველ სახეობებს. ადრე ეს პრობლემა არ იყო – ყველაფერი ანუბილი იყო ფეხბურთზე და მის ინტერესებზე, სპორტის ამ სახეობის გვერდით ისეთებიც ისწავლებოდა, რაც ფეხბურთელს სჭირდებოდა, მათ შორის – მძლეოსნობაც. სკოლაში არც მალავენ, რომ მათთვის ბევრად უფრო მისაღები ძველი სტატუსი იყო – მაშინ მთლიანად სპორტზე, ფეხბურთზე იყვნენ კონცენტრირებული და ამ სკოლის არაერთ აღზრდილს დაუმშვენებია არა მხოლოდ ქართული ან საბჭოთა, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ფეხბურთიც კი. თვით ძმები არველაძეებიც იქ აღიზარდნენ, თუმცა მა-

შინ სხვა სპეციალიზებული სკოლა არც იყო და ფეხბურთის მოყვარული ყველა ბავშვი იქ სწავლობდა. ახლა, როცა არასპორტსმენი მოსწავლეებიც გაჩნდნენ, ძველი პროფილის ბოლომდე შესანარჩუნებლად სპორტსმენთა ინტერესების დასაცავად, ანუ სპორტსმენ-არასპორტსმენთა ინტერესების გასამიჯნად სკოლა იძულებული გახდა, საფეხბურთო კლუბი ჩამოეყალიბებინა, სადაც წმინდა საფეხბურთო მეურნეობაზე ზრუნავდნენ. ამიტომ ურჩევნიათ ისევ ძველი სტატუსის დაბრუნება, სპეციალიზებული საფეხბურთო ან სპორტული სკოლისა – იმედოვნებენ, საკუთარ საქმეს ასე ბევრად ეფექტურად მიხედავენ.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ისაა, რომ სპორტში ჩაბმულ ბავშვებს, ტურნირების გამო, ხშირად უწევთ გაკვეთილების გაცდენა, აქ კი მთელი რიგი ბიუროკრატიულ-საკანონმდებლო ბარიერები იწვება – ეს გაცდენები აღირიცხება, რაც მერე ნიშნების გამოყვანაზე მოქმედებს. ადრე მათთვის შეღავათები იყო გათვალისწინებული, ახლა კი ჩვეულებრივი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან არიან გათანაბრებული. არადა, იმათ არ უწევთ შეჯიბრებებზე სიარული, ესენი კი, თუ არ ივლიან და არ ითამაშებენ, ვერც სპორტსმენებად გაიზარდებიან. მოკლედ, ესეც ერთი საკანონმდებლო ლაფუსია, რასაც გამოსწორება, დარეგულირება სჭირდება. სკოლაში ამიტომაც მიაჩნიათ, რომ სპეციფიკური სტატუსი უნდა ჰქონდეთ, თუ გვინდა, სპორტი წამყვანი იყოს.

განათლების სისტემისა და სპორტის გაკვეთილების რეფორმირების პროცესში ზემდგომთ ამ სკოლას, გამოაკლისის სახით, ერთი შედეგით მაინც გაუწიეს – სპორტის სამი სავალდებულო სახეობის ნაცვლად, უფლება დართეს, ორი აერჩიათ. ალბათ, ეს გონივრული ნაბიჯი იყო, რადგან სკოლაში მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ფეხბურთელია, თანაც – ბიჭები, მათ კი, ფეხბურთის გარდა, სხვა სახეობები არც აინტერესებთ. ზოგადადაც საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, სადაც ფეხბურთი სპორტის ყველაზე მასობრივი სახეობაა და ყველაზე მეტი ქომაგი ჰყავს. ჩვენთან რიგით ბავშვებსაც კი ყველაზე უფრო ფეხბურთი უყვართ, ხოლო სპეციალუ-

რად სპორტის ამ სახეობაში ჩაბმულებზე ლაპარაკი არ შეიძლება – მათთვის ფეხბურთი სპორტზე მეტია. მძლეოსნობის მასწავლებელმა ისიც მითხრა, რომ ერთ-ერთ მოსწავლეს სივრცეში სპორტის საჭირო ფიზიკურ მონაცემებს ამჩნევს, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია ვარჯიშზე, ფეხბურთს არ ლაღატობს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ სკოლას ტრადიციები მხოლოდ ფეხბურთში არ გააჩნდა – ადრე, ქვეყნისა თუ დედაქალაქის მასშტაბით, წარმატებები მძლეოსნობაშიც მოეპოვებოდათ, ძირითადად – სპრინტერულ დისტანციებზე.

მოცემულ რეალობაში სკოლამ არჩევანი ფეხბურთსა და მძლეოსნობაზე შეაჩერა, ანუ იმაზე, რომლებშიც ტრადიციაც ჰქონდა, კადრებიც ჰყავდა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც მოეპოვებოდა. თან მძლეოსნობა სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც საბაზისო ლამის ყველა დანარჩენისთვის. ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ ფეხბურთელმა სირბილი უნდა იცოდეს, არამედ იმაზეც, რომ სწორად დარბოდეს. ჯერ ერთი, ჩვენთან სწრაფი სირბილიც პრობლემაა და ეს იმავე ეროვნულ ნაკრებსაც ეტყობა, ხოლო სირბილის ტექნიკა ცალკე პრობლემაა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია – ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელი **ლევან ყენია** თავის დროზე ესპანურ კლუბში იმიტომ დაინუნეს, სწორად ვერ დარბისო. მოკლედ, სირბილის ტექნიკა სჭირდება ფეხბურთელს და სკოლაშიც მძლეოსნობის ისეთ დისტანციებზეა აქცენტი აღებული, რაც ფეხბურთელს ზრდაში დაეხმარება – სისწრაფის გარდა, განუვითარებს კოორდინაციას, მოქნილობას, ელასტიურობას, ხტომის მანერას... ამიტომ აქ არ ასწავლიან ისეთ დისტანციებს, როგორცაა ბადროს ტყორცნა, ბირთვის კვრა, შუბის სროლა და ა.შ. ამ ყველაფერს სპეციალური ინვენტარიც სჭირდება და სპეციალური ბაზაც, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

საფეხბურთო კლუბში წამყვანი ფეხბურთია და შესაბამისი სახეობის მწვრთნელიც მუშაობენ, სპორტის გაკვეთილებს კი ორი პედაგოგი ემსახურება – ფეხბურთში **გიორგი ძნელაძე** ავარჯიშებს, მძლეოსნობაში – **ნინო ცაავა-გუდამილი**. განსხვავებულია სწავლე-

ბა კლასების დონეთა მიხედვით – დანყებით კლასებში სპორტის გაკვეთილებსაც დანყებითის მასწავლებლები ასწავლიან და არა სპორტის. იმ კლასებში ეს ყველაფერი მიმართულია საერთო მომზადებაზე, ორგანიზმის გაჯანსაღებაზე, რასაც საფუძველი სწორედ ადრეულ ასაკში უნდა ჩაეყაროს, უფროს კლასებში კი, ყველაფერი ფეხბურთზეა ორიენტირებული მძლეოსნობასთან მჭიდრო კავშირში.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ საქმე შედარებით უკეთაა, ვერ ვიტყვით, რომ იდეალურად. თუმცა ცხადია, მთელი ეს ბაზა საფეხბურთო ინფრასტრუქტურით შემოიფარგლება. სკოლის განკარგულებაში რამდენიმე საფეხბურთო მოედანი, რომელთა ხარისხი ბოლო წლებში საგრძნობლად ამაღლდა და გაუმჯობესდა. შედეგად, მოზარდებს ბევრად უკეთეს საფარზე უწევთ თამაში. სკოლის განკარგულებაში ერთი დახურული დარბაზია, თუმცა აქამდე დატვირთვა არ ჰქონდა, ახლა კი ტრენაჟორების დარბაზი მოაწყვეს, რაც მოზარდებისთვის დიდი შენაძენია. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ ვერ ნახავთ კალათბურთის, ფრეხბურთის და ამგვარ დარბაზებს, თუმცა ამას კიდევ არა უშავს, აი, აუზი, გამაჯანსაღებელი ცენტრი და სხვა ამგვარი დამხმარე სერვისი, რომლის გარეშეც ევროპაში მსგავსი სპორტული ტიპის სკოლები წარმოუდგენელია.

სკოლაში გული სწყდებათ, რომ თანამედროვე მოთხოვნები და შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვევა. მოთხოვნები კარგია, მაგრამ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას უნდა შეესაბამებოდეს. გამართლებულად არც ძველი სისტემის ასე ხელალებით უარყოფა მიაჩნიათ, რადგან იმასაც ჰქონდა თავისი დადებითი მხარეები. მათი აზრით, შეიძლება ძველის იმგვარად დახვეწა და ახალთან შერწყმა-შეთავსება, ახალი, საგრძნობლად გაზრდილი მოთხოვნებისთვის ფეხი ღირსეულად რომ აენყოთ, რაშიც შეუძლებელია, არ დაეთანხმოდ.



მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტბაულაშვილის №3 ტელ.: 295-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის
რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000